გრიგოლ ჟორდანია

სონატა ჩელოსთვის

კაცი- 50 წელს გადაცილებული. შავ კლასიკურ ტანსაცმელში გამოწყობილი, შევერცხლილი თმით

ქალი- 25 წლამდე. ლამაზი, თუმცა ნაადრევად დაბერებული. იისფერ კაბაში გამოწყობილი. სხეულზე უცნაურად ყვითელი ავტორუჯი უსვია

სცენაზე მხოლოდ ორი სკამი და ყვავილების ლარნაკი დგას წყლით სავსე, სხვა არაფერი

შენიშვნა: პიესა არ წარმოადგენს მონოდრამას — იგი აგებულია როგორც დიალოგი სიტყვასა და მუსიკას შორის. ქალის პარტია ეფუძნება ეკატერინე გორგაძის ამავე სახელწოდების სონატის პარტიტურას, რომლის შესაბამისი ფრაგმენტები ტექსტში წითელი ასოებით არის აღნიშნული. წარმოდგენაში დაუშვებელია სხვა მუსიკალური მასალის გამოყენება.

1. Moderato drammatico

(შენისშვნა მკითხველისთვის. სადაც პაუზაა იქ დაიცავით მინიმუმ ათ წამიანი პაუზა)

ქალი სცენაზეა და “ლა”-ზე აწყობს ჩელოს, შემოდის კაცი. ქალი ჩერდება.

კაცი- მოვედი…

პაუზა

კაცი- ხალხი უკვე ნელ-ნელა მოდის. მზად ხარ?

პაუზა

კაცი- მოვედითქო..

პაუზა

კაცი- ვიცი ნერვიულობ.

პაუზა

კაცი- კარგად გამოიყურები.

პაუზა

კაცი- როგორც იქნა გამოვცვალე კაბინეტის საკეტი!

ქალი აგრძელებს ინსტრუმენტის აწობას

პაუზა

კაცი- ავტორუჯია?… (უაზროდ იცინის)

პაუზა

კაცი- ვინ მოგართვა ყვავილები კონცერტის წინ? ხომ იცი ცუდის ნიშანია. არ გეგონოს რომ ვეჭვიანობ... მიპასუხე ავტორუჯი გაიკეთე? (სულელურად იღმის)

პაუზა

კაცი-საშინელებაა, გეგონება ბოტკინი გაქვს. (იცინის)

პაუზა

კაცი- ხელს ხომ არ გიშლი? (კარისკენ ანიშნებს)შემიძლია გავიდე... გინდა მარტო დაგტოვო?

პაუზა

კაცი- გარედან სიცხე შემოდის.

პაუზა

კაცი- ფარდები არ გადაგიწიო? (წევს ფარდებს) ზურგი მტკივა, დავიღალე… წამლები გამითავდა, მაგრამ დრო არ მაქვს, რომ მივიდე. (ჯდება)

პაუზა

კაცი- შენ კიდე მიდიხარ, მტოვებ… ვინ მომიტანს წამლებს?! (იცინის)

პაუზა

კაცი- ესეიგი, ბოლოა…

პაუზა

კაცი- ხმას არ ამოიღებ?

პაუზა

კაცი- გიმეორებ, საკეტი გაიჭედა, მე არ ჩამიკეტავს ის დასაწვავი კარი!

ქალი მორჩება ინსტრუმენტის აწყობას

პაუზა

კაცი-შაბათს არ მეცალა!

პაუზა

კაცი- ვერ მოვასწარი მოსვლა. ბავშვს დავპირდი ზოოპარკში წაგიყვანთქო. რომ არ წამეყვანა… ძალიან კარგად იცი რაც მოხდებოდა… “რა საშინელი მამა ვარ, წელიწადში ერთხელ ვნახულობ, აღარ ნახავ, მისთვისაც ასე ჯობია…”

პაუზა

კაცი- ვერ ვიტან ზოოპარკს. ბავშვების ყაყანი და ნეხვის სუნი ერთად. (იცინის) გული მერევა. არ მიყვარს ბავშვები, განსაკუთრებით-სხვისი და განსაკუთრებით ცხოველების გარემოცვაში.

პაუზა

კაცი- (იცინის) გალიასთან ვიდექი და გაშტერებული ვუყურებდი მაიმუნებს, უაზროდ ხელებს როგორ იქნევდნენ . ალბათ ისინი რომ ჩემს კონცერტზე მოვიდენენ იგივეს გაიფიქრებენ ჩემზე. მაიმუნებზე უკეთესი მაყურებელი გვეყოლება დღეს?!(გადახედავს წარმოსახვით მაყურებელს) როგორ მეზარება ხელების ქნევა.. როგორ მტკივა წელი…

პაუზა

კაცი-მერე ზოომაღაზიაში შემიყვანა. ზაზუნები მაყიდინა. (იცინის) თითქოს ვირთხები არ მყოფნის გარშემო.

პაუზა

კაცი- (სულელურად იღიმის)შენ გიყვარს ზაზუნები?

პაუზა

კაცი- ვნერვიულობ შენზე.

მიდის კარისკენ და კარს აღებს

პაუზა

კაცი- (კარიდან) გაგაფრთხილე... ზუსტად ამას ვარიდები თავს, ისევ ვიღაც პანიკით დამირეკავდა- სად ხარ? ვისთან ერთად ხარ? ვისი ხმა არის? აღარ ვაპირებ ესეთ ურთიერთობას არავისთან! ძლივს ერთს ვასრულებ როგორც იქნა.

პაუზა. ოთახში რჩება კეტავს კარს.

კაცი- იცოდი, ზაზუნებს თუ მოშივდათ საკუთარ შვილებს ჭამენ?! (სულელურად იღიმის).

პაუზა

კაცი- არ მინდა გძულდე.

პაუზა

კაცი- ახლა იმაზე უნდა ვინერვიულო რო ჩემს გამო ცუდად გრძნობ თავს.

პაუზა

კაცი- დაუკარი და წადი… (კიდევ ერთხელ აღებს კარს)

პაუზა

კაცი- თუ გინდა გავიაროთ ერთხელ.

პაუზა

კაცი**-** ბოლო რეპეტიცია…

პაუზა

კაცი- გინდა?

პაუზა

კაცი-(ენერგიულად) დაიწყე…

პაუზა

კაცი- (პიჯაკს იხდის და სკამზე კიდებს) დაიწყე მეთქი!

ქალი ნელა იღებს ხემს და იწყებს დაკვრას.

მუსიკა. ნაწილი1, პირველი აკორდი. (მნიშვნელოვანი)

კაცი ტაშით აჩერებს.

კაცი- შენი მთავარი პრობლემა იცი რა არის? ბევრს ფიქრობ ტექსტზე. ფრაზები გეკარგება, არც შენი ინტონაცია მომწონს. მყარად დაჯექი გრიფზე. გადაწყვიტე რა გინდა. გაიზრე რომ მინორში ხარ. თავიდანვე უნდა იცოდე, რომ ეს დრამაა. დრამატულ მუსიკას უკრავ.

კაცი- მზად ვარ… დაიწყე პირველი თემა. შენიდან დაუკარი.

მუსიკა, ნაწილი1,ფრაზა1

კაცი- ბოლომდე მიიყვანე ფრაზები. ტაქტიდან ვარდები ვერ ხედავ?. ნერვიულობამ არ უნდა დაგვაჩქაროს. მომეცი დრო, რომ ამოვისუნთქო. მოთმინებაა მთავარი.

მუსიკა, ნაწილი1,ფრაზა2 (პარალელურად)

კაცი- აი ესე… შემდეგი ტაქტის პირველივე ნოტი სხეულით უნდა შეიგრძნო. შენ უკრავ რაღაც ზედაპირულად ლამაზ ფრაზებს. მიუშვი შენი ვნება, ოღონდ დახვეწილად.

პაუზა

კაცი- აი ასე, კარგია… მშვენიერია… ახლა უკვე ნელ-ნელა მესმის რაც გინდა.

კაცი- პაუზა და აი ეს ხაზი უნდა იყოს მოპატიჟება — მორიდებული, მაგრამ დაჟინებული. მიხვდი? თითქოს ბგერით ითხოვ- ფრთხილად შემეხეო. აი… ნახე, ნაზი დაძაბულობა შეინარჩუნე…მოეშვი… კისერს ნუ ჭიმავ. ნუ აკეთებ ვიბრაციას მაჯით, თითებით იმუშავე. აი ასე, აი ასე… მშვენიერია!

მუსიკა ჩერდება.

ხელით მარცხენა ხელს უჭერს და აკვირდება, თან საჩვენებელ თითს უსმევს ნაიარევზე

პაუზა

კაცი- არ გაგიარა… (ქალი უხეშად ართმევს ხელს და მალავს)

პაუზა

კაცი- (ბრაზდება) შენთან თავის გამართლებას არ ვაპირებ. თვრამეტის თუ ცხრამეტის არის. ბავშვია! გგონია იქამდე დავეცი, რომ ბავშვს გავჟიმავ? ან თავს ასეთ საფრთხეში ჩავიგდებ, ან ჩემს რეპუტაციას ჩავაგდებ საფრთხეში?! უბრალოდ ნიჭიერია, კარგად უკრავს. მოვუსმინე, მეტი არაფერი ყოფილა ჩვენ შორის. ჩემს კაბინეტში დღეში ასი კაცი შედის და გადის. ეს არის ჩემი საქმე-აღმოვაჩინო ახალი მუსიკოსები.კარი არ ჩამიკეტავს, საკეტი გაფუჭდა! გა-ფუ-ჭდა! მესმის რატომ ბრაზდები, უბრალოდ გშურს მისი. ხომ ასეა? ამიტომ გაიკეთე ავტორუჯი და ამიტომ ჩაიცვი ეს კაბა…

მუსიკა, ნაწილი1,ფრაზა3

კაცი- შენც ასე არ გიპოვე? შემთხვევით! გაგიმართლა ის უბედური კაცი კონცერტის წინ რომ მოკვდა და არა მერე. სამი ღამით მეტი რომ ეცოცხლა, ახლა აქ არ იქნებოდი!ოცი წლით ახალგაზრდა და ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, ახლა აქ არ იქნებოდი! ის საზიზღობა, რომ არ დაელია, აქ არ იქნებოდი! სათადარიგო ჩელისტი რომ მყოლოდა, აქ არ იქნებოდი! სოფელში ერთადერთი ჩელოს მსაწავლებელი რომ არ ყოფილიყავი, ახლა აქ არ იქნებოდა! მე რომ არ მომესმინა შენთვის ჩემს კაბინეტში, ახლა აქ არ იქნებოდი!

მუსიკა, ნაწილი1, ფრაზა4

კაცი- (მშვიდდება, იღიმის) შენც თვრამეტის, თუ ცხრამეტის არ იყავი?

მუსიკა, ნაწილი1,ფრაზა5

კაცი- სიმართლე მითხარი, ავტორუჯია, თუ გახვედი მზეზე?

მუსიკა, ნაწილი1,ფრაზა6

კაცი- როგორც იქნა ფერადი ჩაიცვი... გაგისწორებ (ლიფის ზორტს უსწორებს)(ქალი ხელს აუქნევს, კაცი იცინის)

მუსიკა, ნაწილი1,ფრაზა7

კაცი- მემგონი ცოტა დიდი გაქვს. გახდი?

მუსიკა, ნაწილი1,ფრაზა8

კაცი- ჭამ? დღეს ჭამე რამე? საღამოს დიდი ბანკეტი იქნება. კარგად უნდა გამოვთვრეთ ბოლოს და ბოლოს… (იცინის)

მუსიკა, ნაწილი1,ფრაზა9

კაცი- გამოსათხოვარი.

მუსიკა, ნაწილი1,ფრაზა10

კაცი- შენი პირველი კონცერტის ბანკეტი. სადღაც, ბუნგალოში, სანაპიროზე. ჩალის სახურავით. როგორ ცხელოდა… მაგ ზაფხულს მე მგონი საერთოდ არ უწვიმია. რამდენი დავლიეთ?!.. მე, თორემ შენ ორ ჭიქაში უკვე მაგიდაზე იდექი ფეხშიშველი. ცისფერ-დელფინებიანი ცელოფნის გადასაფარებელი თითებზე გეკვრებოდა და მაგ კაბის ძირი ჩემს წითელ-სოუსიან თეფშში გედო.ხომ ის კაბაა? იმის მერე არ გცმია. მეგონა ლაქა დაგრჩებოდა… ხან მიკროფონში მღეროდი,ხან მოკბეჩილ ეკლერში, ვერცერთი გამოგგლიჯეს ხელიდან და ვერც მეორე. (იცინის) კისერზე ოფლის წვეთები ჩამოგდიოდა და შიგადაშიგ შოკოლადიანი ხელსახოცით იწმენდდი. არ გაინტერესებდა ბებერი

ორკესტრანტები რას ფიქრობდნენ შენზე. ჩვენ ყველანი შავ პერანგებში, ოფლის მარილისგან გათეთრებული ზოლებით, შავი მარმარილოს ქვას ვგავდით, შენ-ქვაში ამოხეთქილ იას. არც ის გაინტერესებდა, მე რას ვფიქრობდი შენზე. ბავშვივით გიხაროდა, პირველად საქანელადან ჩამოსული შიშს, სიამაყეს და სიხარულს ერთდროულად რომ განიცდის … ახლა?! შეხედე. პასუხის ღირსადაც აღარ მთვლი… არადა გაიხსენე…(იცინის) საიდან ამოგათრიე გაიხსენე! იქნებოდი სოფლის სამუსიკო სკოლის ერთერთი მასწავლებელი. ერთი მოსწავლე თუ გეყოლებოდა ისიც ყრუ. რა გეგონა ჩამომაკითხავდი ქალაქში შენს ავადმყოფ შვილთან ერთად და მეორე დღეს შენთან ოჯახობანას თამაშს დავიწყებდი?

მუსიკა ჩერდება.

კაცი- ბოდიში, ამის თქმა არ მინდოდა.

პაუზა

კაცი- გავალ მე, ხელს აღარ შეგიშლი.

პაუზა

კაცი- დაგიკეტო კარი?

გადის

პაუზა

2. ADAGIO

მუსიკა, ნაწილი2, ფრაზა1

რამდენიმე წამში კაცი ბრუნდება, ნელა აღებს კარს, მორიდებით.

კაცი- პიჯაკი დამრჩა. (ნელა მიდის სკამისკენ, არ იღებს პიჯაკს და იმ სკამზევე ჯდება)

მუსიკა, ნაწილი2, ფრაზა2

კაცი- გააგრძელე, არ შეგიშლი. ჩუმად ვიჯდები.

მუსიკა, ნაწილი2, ფრაზა3

კაცი- საშინლად მტკივა წელი! ალბათ ნესტის გამო…

მუსიკა, ნაწილი2, ფრაზა4 (პარალელურად, მუსიკალურ პაუზამდე)

კაცი- მოყოლილი მაქვს? ბავშვობაში, ბებიაჩემს დასასვენებლად დავყავდი აქ, ზღვაზე. სულ ავად ვხვდებოდი. სახსრები მტკიოდა, ან სულ სურდო მქონდა. ზღვაც მაშინებდა თავის სიდიდით. ამიტომ სულ ეზოში ვთამაშობდი. სანაპიროზე თითქმის არასდროს გავდიოდით. შუადღეს, მზისგან რომ არ დავმწვარიყავი, ბებიაჩემი სადილზე მეძახდა. მეც ყოველთვის ერთი და იგივე დროს სახლში ავდიოდი.პირველიდან ოთხამდე. ოთახს ვისგანაც ვქირაობდით, იმ ქალს, ერთი შვილი ჰყავდა, დავუმეგობრდი. კარგი ბიჭი იყო, ძლიერი ხელები ჰქონდა, ცურვისგან ნავარჯიშები. ბევრ აზიდვას აკეთებდა, მე ვერცერთს და მშურდა.(იცინის) როგორ გავაკეთებდი, იმდენს მაჭმევდა ბებიაჩემი. ცამეტი-თოთხმეტი წლისები ვიქნებოდით მაშინ… ერთ დღეს მითხრა, ჩემი მეგობარი გოგონები მელოდებიან სანაპიროზე, წამოხვალო? არ მინდოდა. მაისურის გახდა მომიწევდა და ჩემი ქონების მრცხვენოდა მაშინ,(ჩაიცინებს) მაგრამ უარის თქმის უფრო შემრცხვა და წავედი. შუადღეს ბებიაჩემი მეძახდა თურმე სადილზე. შეეშინდა ბავშვი უჭმელი დარჩაო და ჩემ საძებნელად წამოსულა. (იცინის) ნეტა რა დამოკლდებოდა, ერთი სადილი რომ გამომეტოვებინა?! მთელ სანაპიროს ფეხით გამოუყვა. ცხელოდა… ორი საათი იქნებოდა. ეტყობა მზემ დაარტყა, წაიქცა და თავი ქვას დაარტყა. ინსულტი დაემართა. მე ამ დროს ნახევრად ჩაცმული მაისურით, მუცელ შეზნექილი სანაპიროზე ვიჯექი და ზღვაზე კენჭებს ვასრილებდი, რომ გოგონების ყურადღება მიმექცია.(იცინის) ოთხი წელი იცოცხლა. ვერ ჭამდა, ვერ ლაპარაკობდა, ვერ მოძრაობდა, უბრალოდ იწვა. სახლში სულ ვიღაც უნდა ყოფილიყო, რომ ყურადღება მიექცია. დედაჩემი მთელი დღე მუშაობდა, ამიტომ მე… ოთხი წელი სახლში ვიყავი. (ჩაიცინებს) მერე გარდაიცვალა. იმის შემდეგ აქ არ ჩამოვსულვარ. ცოლ-შვილი ყოველ ზაფხულს წამოყვანას მეხვეწებოდა, მაგრამ არა! ბავშვმა ცურვაც კი არ იცის… მერე ამ ფერსტივალზე მოგვიწვიეს…

პაუზა

კაცი- ამდენი ხნის შემდეგ, შენთან ერთად პირველად გავედი სანაპიროზე, იმ დილას…

პაუზა

კაცი- და შემიყვარდა ზღვა. სახსრების ტკივილმაც გამიაერა, სურდომაც (იცინის) ამოვისუნთქე, გავთავისუფლდი. აღარაფრის მეშინოდა. არც ზღვის და არც საკუთარი თავის. შენი მზისგან ოქროსფრად დამწვარი კანი… მაგიჟებდა შენი გარუჯული სხეული, მხოლოდ ბიკინის ადგილი რომ გქონდა თეთრი… სუფთა… რომ გაკოცე, ტუჩები რომ

შეგახე პირველად… იმ მარილიან გემოს ახლაც ვგრძნობ. (ნერწყვს ყლაპავს). შენი კისკისი, ტალღების ხმა და შორიდან, წამღერებული “ცხელი სიმინდი, ცივი სასმელები” ერთად საოცარ სიმფონიას ქმნიდა. (იცინის) მთელი დღე შეგეძლო მზის ქვეშ წოლა. დღეს მზე ისეთი ძლიერი აღარაა, როგორც ადრე იყო.

პაუზა

კაცი- შემიყვარდი….

მუსიკალური პაუზა.

კაცი ფეხზე იხდის ჯერ ფეხსაცმელს, მერე წინდას. ქუსლს იზელს ნელა.

კაცი- ვიცი ბავშვივით ვიქცევი… მეშინია მარტოობის, მჭირდები… მომეფერე… შემეხე… დამელაპარაკე…

პაუზა

კაცი- ბანკეტზევე გთხოვე დაგეტოვებინა აქაურობა და წამოსულიყავი ქალაქში. (სევდიანად ჩაიცინებს) არც გახსოვს იმიტომ რომ მთვრალი იყავი!

პაუზა

კაცი- რატომ უთხარი შენს ქმარს ჩემზე?... სინდისმა შეგაწუხა?... რატომ ჩაიგდე თავი ასეთ საფრთხეში, ან მე რატომ ჩამაგდე?

პაუზა

კაცი- ვერაფერს გავაკეთებდი. ცხელ გულზე, ჩემს გამოჩენას შეიძლება უარესს მდგომარეობამდე მიეყვანე. შემეშინდა შენთვის მეტი ზიანი არ მოეყენებინა…

პაუზა

კაცი- ჩემთვის რომ რამე დაეშავებინა?! რას იტყოდა ჩემი შვილი?! მამაჩემი იმიტომ დაასახიჩრეს, ან მოკლეს, რომ ქმრიანი საყვარელი გაიჩინა ზღვაზეო?! ხალხი რას იტყოდა?!

პაუზა

მუსიკა, ნაწილი2, ფრაზა4 (შესავალი და შემდეგ პარალელურად)

კაცი- ახლაც გული მიკვდება, რომ მახსენდება. სადგურზე რომ დაგხვდით. რომ დაგინხე სახლის ტანსაცმელში, ჩასისხლიანებული და დალურჯებული თვალებით… ხელზე ჩამწვარი სიგარეტის კვალი, იმ ხელზე ბავშვი ხელს რომ გიჭერდა, შეშინებული. ტკივილისგან გული მიგდიოდა, მაგრამ არ უშვებდი… ახლა მეტირება…

კაცი უჩოქებს

პაუზა

კაცი- შენი ამბავი რომ გავიგე, ვერც კი წარმოიდგენ რა დამემართა. მიყვარდა, მართლა მიყვარდა, ჩემებურად. ვუპატრონე როგორც შემეძლო. ხო იცი არ შემიძლია, როცა ვფიქრობ ან ვმუშაობ ბავშვების ხმაურის მოსმენა.

პაუზა

კაცი- დაკრძალვის დღეს პულტთან რომ დაგინახე, შეშლილი სახით…

პაუზა

კაცი- არ არის ნორმალური.

პაუზა

კაცი- შემეშინდა შენი! შენი შემეშინდა!

კაცი ნელა დგება, ფეხზე იცმევს. ლარნაკიდან ყვევილებს იღებს და ძირს ყრის. ლარნაკიდან წყალს ცხვირსახოცს ასხამს და სახეს იწმენდს.

მუსიკა მთავრდება.

კაცი (ნაძალადევად იღიმის)- მოუსმინე შენს თავს. სხვისთვის ნუ უკრავ, შენთვის დაუკარი. დღეს მე გამოგყვები ტემპში.

პაუზა

კაცი- წავალ, თავს მოვიწესრიგებ.

იღებს პიჯაკს და გადის.

პაუზა

2. MOLTO AGITATO

გაწელილი, რამდენიმე წამიანი დაძაბული სიჩუმე.

კაცი შემოანგრევს კარს, გაექანება ქალისკენ და ხელს მოუქნევს. ქალი ხელსაც არ იფარებს სახეზე. გაუნძრევლად ზის. კაცი ჰაერში აჩერებს ხელს, ვერ ურტყამს...! (ყვირის)

კაცი- როგორ გაბედე და ამ კაბით როგორ გამომეცხადე? შეხედე შენს თავს, რას დაემსგავსე. რა ფერი ხარ!

პაუზა

კაცი- უმადური ხარ! ნაცემი, ძაღლივით სახლიდან გამოგდებული მიგიღე, სახლი გიქირავე, შტატში აგიყვანე! გაჭამე, გასვი! ფულს გაძლევდი! არა, შენ მეტი და მეტი გინდოდა... გინდოდა ჩემი შვილი გამეგდო სახლიდან და იქ თქვენ მიმეყვანეთ! შენ და ის საწყალი ბავშვი. რა მისი ბრალი იყო, ასეთი რომ დაიბადა, მაგრამ მამამისის შვილი სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო. ახლა გინდა მთელი შენი ცხოვრების ტანჯვა მე დამაბრალო. არ გამოგივა, იმიტომ რომ სიმართლე ვიცი! ვიცი რაც ჩაიდინე! კარგად ვიცი რაც მოუვიდა შენს შვილს... გინდა მოგიყვე? (ყვირის) მიპასუხე გინდა? მაშინ მომისმინე, ყურადღებით, ხმა არ ამოიღო!

პაუზა

კაცი- იმ დღეს სანაპიროზე გახვედი ბავშთან ერთად. შუადღეს, მზე რომ წვერშია. როგორც ყოველთვის იწექი, ირუჯებოდი, იწვებოდი რომ იქნებ კიდევ ერთხელ შემომეხედა, იქნებ კიდევ ერთხელ მომწონებოდი... ამ დრო ბავშვი ზღვაში შევიდა, იცოდი რომ ცურვა არ შეეძლო, ისიც იცოდი რომ ვერ ხვდებოდა, რას აკეთებდა! გინდოდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა!

პაუზა

კაცი- (ძლივს სუნთქავს) იფიქრე: “დაუნი შვილი თუ აღარ მეყოლება, დამიბრუნდება, ჩემთან იქნებაო, მაგის ბრალია ერთად რომ არ ვართო!” თუ ვცდები გამაჩერე!

პაუზა

კაცი- მერე ყვირილი გაიგე! არ შეიმჩნიე. თავი არც აგიწევია... არც განძრეულხარ! ასე არ იყო? მითხარი, თუ რამე მეშლება!

პაუზა

კაცი- რა ტყუილად იტანჯე მშობიარობის დროს! გესმის მისი ყვირილი? “დედა, დედა მიშველე.” ვითომ არ გესმოდა, მზეს ეფიცხებოდი... რომ გაშავებულიყავი და გაშავებულიყავი და ისმენდი, როგორ იკარგებოდა საწყალი ბავშის ყვირილი ტალღების ხმაში! მკვლელი ხარ! შვილის მკვლელი! ქვის გული გაქვს! ეჭვიანობით გაგიჟებულმა ისიც შენ მსხვერპლად აქციე და მეც! შური იძიე, რომ მთელი ცხოვრება სინდისს დავეტანჯე. არა! შენ უნდა იტანჯებოდე! უნდა გდებულიყავი იმ სოფელში და შენს ქმარს ცემაში უნდა ამოეხადა შენთვის სული!

პაუზა

კაცი- დასაფლავებიდან პირდაპირ კონცერტზე მოხვედი და დაუკარი! ისე დაუკარი თითქოს არაფერი მომხდარა! უკრავდი და ეშმაკს გავდი! დაგინახე და დამაჟრიალა შიშისგან გავცივდი! ნამდვილი ეშმაკი ხარ ჩელოთი ხელში! ბოროტება! მე ვიდექი და მართლა მაიმუნივით ვიქნევდი ხელებს. მერე მოხვედი ჩემთან გამიღიმე და მომილოცე. რას მილოლცავდი?! იმას რომ წამართვი ყველაფერი?! საკუთარი თავი! ოჯახი! საკუთარ შვილს თვალებში ვეღარ ვუყურებ, იმიტომ რომ ჩემს გამო, ბავშვი ზღვაში დაიხრჩო და შენ გეგონა, ამის შემდეგ ჩვეულებრივ ურთიერთობას გავაგრძელებდით… ისევ შეგიყვარებდი… ოჯახს დავტოვებდი… ცოლად მოგიყვანდი... არა! კარი თავისით არ ჩაკეტილა, საკეტი არ გაფუჭებულა! დიახ, ვტყნავდი იმ პატარა გოგოს და კიდე სხვა პატარა გოგოებსაც ვტყნავ და კიდევ მოვტყნავ! შენ მე ვერ შემაჩერებ! შენ მე ვერ დამამარცხებ, მე ის კაცი აღარ ვარ მაისურის გახდის რომ ცხვენია! მე მაესტრო ვარ! შემოქმედი ვარ! მე ღმერთი ვარ! შენ სატანა!

ქალი ხემს მოულოდნელად დაუსმევს ჩელოს და უკანასკნელ ნაწილს უკრავს, ყველაზე დრამატულს, საფინალო აკორდით ამთავრებს.

მუსიკა, ნაწილი3,ფრაზა1.

კაცი განადგურებული უსმენს. ნახევრად მკვდარი.

ძალიან დიდი პაუზა

4. REPRISE

კაცი- (მშვიდად) მეშინია მარტოობის. მჭირდები.

პაუზა

კაცი- დარჩები?!...

ქალი პირველად შეხედავს კაცს თვალებში.

დიდი პაუზა

კაცი- მზად ხარ?.

პაუზა

კაცი- დარბაზი სავსეა…

პაუზა

კაცი- (ნაძალადევად უღიმის) კარგად გამოიყურები.

პაუზა

კაცი- გავიდეთ სცენაზე…

პაუზა

კაცი-დავუკრათ…

ქალი ნელა დგება, კაცს ოდნავ გაუღიმებს და გადის გარეთ, კაცი თითქოს ხვდება დამარცხებას და ნელა მიყვება.

გარედან ისმის მხურვალე ტაში. ორკესტრი აწყობს ინსტრუმენტებს.

ისმის ჩელოს პირველი აკორდი, ის რაც დასაწყისში იყო.

მუსიკა. ნაწილი1, პირველი აკორდი. (მნიშვნელოვანი)

ფარდა